



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N32

ქ. დუშეთი

2015 წლის 3 აპრილი

დუშეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარების სააგენტოს“ დაფუძნების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება, მოაწეროს ხელი შესაბამის ხელშეკრულებას და განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება დუშეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარების სააგენტოს“ დასაფუძნებლად.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი